



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



28/02/2017

5-07-4-201702282358



N 5

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №5
2017 წლის 28 თებერვალი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი 10/08/2015) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს:

- ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე - კვარტალში 25000 (ოცდახუთათასი) ლარი;
- ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2500 (ორიათასხუთასი) ლარი;
- გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;
- დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000 (ორასომოცდაათათასი) ლარი;
- ე) ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 %

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 3000 (სამიათასი) ლარი;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 5000 (ხუთათასი) ლარი.

შენიშვნა: თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ მუხლით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

